

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭაჩიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„16“ 01“ 2015 წელი

ეგზ. № 1

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში *აშ 5/00*

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	5
დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები.....	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა.....	7
სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.....	9
საინვენტარო ბარათები.....	12
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა).....	13
ინვენტარიზაცია.....	15
აუდიტის დასკვნა.....	17
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	18
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	18

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან

განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაუბრუნოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომელიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ქალაქი დუშეთი, დაბა ჟინვალი და ფასანაური, 295 სოფელი. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 33,6 ათას კაცს¹.


დუშეთის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

➤ მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2012-2013 წლებში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა სულ 22 896,0 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 22 254,4 ათასი ლარი. შემოსულობების 98,6 % მოიცავს შემოსავლებს, ხოლო 1,4 % - არაფინანსური აქტივების კლებას.

¹ www.lsg.ge

შემოსულობები 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 863,6 ათასი ლარით.

დიაგრამა 1: 2012-2013 წლების შემოსულობების დინამიკა (ათასი ლარი)




➤ დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების თანახმად, 2012-2013 წლებში გადასახდელების 35,8 % მოიცავს ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდა - 62,5 %-ია, ხოლო ვალდებულებების კლება - 1,7 %.

2012 წელთან შედარებით, გადასახდელები 2013 წელს შემცირებულია 717,2 ათასი ლარით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1 215,1 ათასი ლარით.

დიაგრამა 2: 2012 წლის გადასახდელები


დიაგრამა 3: 2013 წლის გადასახდელები

(ათასი ლარი)



ხარჯები 2013 წელს 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 481,6 ათასი ლარით². სუბსიდია გაიზარდა 241,0 ათასი ლარით (24%), შრომის ანაზრაურობა - 309,3 ათასი ლარით (33,6%), ხოლო სხვა ხარჯები - 102,4 ათასი ლარით (128 %).

დიაგრამა 4: 2012-2013 წლების ხარჯების დინამიკა (ათასი ლარი)



დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების³ შესაბამისად, მუნიციპალიტეტი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ორგანიზაციის ბუღალტრული ანგარიშგება არის სააღრიცხვო პროცესის დამამთავრებელი ეტაპი. მასში მზარდი ჯამით აისახება ორგანიზაციის ქონებრივი და ფინანსური მხარე და სამეურნეო წლის საქმიანობის შედეგები.

² ხარჯები: 2012 წელი - 3 740,8 ათასი ლარი, 2013 წელი - 4 222,4 ათასი ლარი.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

არსებული მდგომარეობა: საანგარიშო პერიოდში დუშეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება არ შეუდგენია. კერძოდ, არ არის წარმოდგენილი შემდეგი ფორმები:

- ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1;
- ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით – ბალანსის დანართი ფორმა №2;
- ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №2-1;
- ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №2-2;
- ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №3;
- ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №4;
- ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №4-1;
- ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №5;
- ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №5-1;
- ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე – ბალანსის დანართი ფორმა №6.

გავლენა

- ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ მიეწოდება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, მოთხოვნების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ.

- არ ხდება ზუსტი და სრულყოფილი მონაცემების მომზადება მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, მატერიალური მარაგების მდგომარეობის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების შესახებ.
- გამგეობის ზემდგომი ორგანო და სხვა დაინტერესებული მხარეები ვერ ახდენენ წლიური ფინანსური შედეგების განხილვას, შეჯამებას, გასული და მიმდინარე წლების ფინანსური მდგომარეობის შედარებასა და ანალიზს, რაც უზრუნველყოფს დასაგეგმი წლისათვის აქტივების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვა-გამოყენებას, რეზერვების გამოვლენას და მობილიზებას. ხელმძღვანელობისთვის არ არის ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის რეალური ფინანსური სურათი.
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზის გარეშე, თვითმმართველობის ორგანოები სავარაუდოდ ვერ მიიღებენ ეკონომიკური შინაარსის სწორ გადაწყვეტილებებს, რაც არსებით გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის მომავალ საქმიანობაზე.

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

კრიტერიუმი: ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით. საბიუჯეტო ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ქაღალდზე ან ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით, ბუღალტრული ანგარიშების გეგმის სტრუქტურის შესაბამისად, რამაც უნდა უზრუნველყოს აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშების დაჯგუფება.

ბუღალტრული ანგარიშგება ხორციელდება სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მეთოდით. საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია სისტემატიზირდება და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახება თითოეული ანგარიშისთვის გახსნილ

მემორიალურ ორდერებში/სხვა ფორმებში ან ელექტრონულად შემუშავებულ ფორმებში, სადაც ანგარიშთა კორესპონდენცია ჩაიწერება ეკონომიკური მოვლენის შინაარსის მიხედვით, მარტივი ან რთული გატარების სახით. მემორიალური ორდერის ჩანაწერები თავს იყრის მაგროვებელ უწყისებში, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მაგროვებელი უწყისებიდან მონაცემები გადაიტანება სინთეზური აღრიცხვის ძირითად რეგისტრში – ე.წ. „მთავარ წიგნში“, ანგარიშთა გეგმის შესაბამისად. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ჩანაწერების სისწორის კონტროლის მიზნით, ყოველთვიურად დგება ბრუნვათა უწყისები ანალიზური ანგარიშების ყოველი ჯგუფისათვის და ხდება ბრუნვათა უწყისების ანალიზურ ანგარიშებზე ბრუნვებისა და ნაშთების „მთავარი წიგნის“ შესაბამისი ანგარიშების ნაშთებთან შედარება.

ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა ხორციელდება როგორც დარიცხვის, ასევე საკასო მეთოდის გამოყენებით. საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული გადასახდელებით განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების, აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციებისა და ორგანიზაციების შემოსავლების აღრიცხვის მიზნით, გამოიყენება დარიცხვის მეთოდი.

ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური/ელექტრონული ფორმის დოკუმენტები დადგენილი წესით ინახება და ბარდება არქივს. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულ და სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებელია აუდიტის ობიექტი. მუნიციპალიტეტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტები.

არსებული მდგომარეობა: მუნიციპალიტეტი ბუღალტრულ გატარებებს აწარმოებს არასრულყოფილად. მიუხედავად იმისა, რომ მემორიალური ორდერები⁴ საბუღალტრო ანგარიშების ნაწილისათვის შედგენილია, საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია არ სისტემატიზირდება; არ იწარმოება მაგროვებელი უწყისები და

⁴ ნაწარმოებია არსებითი ხარვეზებით.

„მთავარი წიგნი“, როგორც სინთეზური აღრიცხვის ძირითადი რეგისტრი; ყოველთვიურად არ დგება ბრუნვათა უწყისები; ანალიზური ანგარიშების არარსებობის გამო, შეუძლებელია ბრუნვებისა და ნაშთების ურთიერთშედარება.

ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვის მიზნით მუნიციპალიტეტი იყენებს მხოლოდ საკასო მეთოდს.

2014 წლის 5 თებერვალს, საოლქო პროკურატურის მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტიდან ამოღებულია 2012 წლის ფინანსური ოპერაციების ამსახველი დოკუმენტაცია.

გავლენა

- მუნიციპალიტეტი არ ასრულებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მოთხოვნებს. საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული გადასახდელებით განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების, აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციებისა და ორგანიზაციების შემოსავლების აღრიცხვისთვის არ გამოიყენება დარიცხვის მეთოდი. ბუღალტრული გატარებების მოუწესრიგებლობის გამო არ არის შესრულებული ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი მთავარი ამოცანები:
- ორგანიზაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბება, რომელიც აუცილებელია ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მმართველობისათვის, აგრეთვე მიმწოდებლების, სტატისტიკური ორგანოების, ბანკებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ამ ინფორმაციის გამოსაყენებლად.
- დაწესებულების ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა კონტროლის უზრუნველყოფა.
- საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების დროული აღკვეთა, საბუღალტრო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენა და მობილიზება.

- ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი წესების, პირობებისა და ანგარიშების გეგმის განსაზღვრა.

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას, არსებობს მაღალი რისკი, რომ არასათანადოდ ხორციელდება:

- სამეურნეო ოპერაციების შედეგად გაფორმებული დოკუმენტების საიმედოობის უზრუნველყოფა, მათი ქრონოლოგიურად დალაგების სიზუსტე და სრული აღრიცხვა.
- კონტროლი ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე.
- ეკონომიკური მოვლენების სრული ასახვა ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით.
- ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების, აგრეთვე არაფინანსური აქტივების აღრიცხვა.
- წმინდა ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის გაანგარიშება.
- არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა.

მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის საფინანსო დოკუმენტაციის წარმოდგენილობის გამო, აუდიტის მიმდინარეობისას ვერ მოხერხდა აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლა.

საინვენტარო ბარათები

კრიტერიუმი: აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად, ძირითად აქტივებს, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებსა და ფასეულობებს მიღებისას მიენიჭებათ საინვენტარო ნომრები, რომლებიც მოცემულ აქტივებს რჩებათ ორგანიზაციაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. თითოეული საინვენტარო ნომრის მიხედვით იხსნება დადგენილი ფორმის

საინვენტარო ბარათი, სადაც მიეთითება ბარათით განსაზღვრული რეკვიზიტები. გარდა ამისა, ჩაიწერება ობიექტის (საგნის) მოკლე ინდივიდუალური დახასიათება.

არსებული მდგომარეობა: მუნიციპალიტეტი არ იყენებს საინვენტარო საბარათე სისტემას. აქტივები, წარმოქმნის თარიღის შესაბამისად, აღრიცხულია არასათანადოდ, ელექტრონული ფორმით, საერთო სიის სახით.

გავლენა

- მუნიციპალიტეტი არ ფლობს სრულ ინფორმაციას საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების შესახებ.
- არსებობს ელექტრონული მონაცემების არაკეთილსინდისიერი ცვლილების საფრთხე. ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია დაიკარგოს ან არასწორად აისახოს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის დოკუმენტებში.
- საბარათე სისტემისა და საინვენტარო ნომრების არარსებობა შეიცავს აქტივის არამართლზომიერი დაუფლების, დაკარგვის ან არასწორი იდენტიფიკაციის რისკებსაც. ამასთან, თანამდებობრივი ცვლილებების შემთხვევაში გართულებულია ქონების პასუხისმგებელ პირებზე გადაბარების პროცესი.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების⁵ შესაბამისად, დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა ყოველწლიურად აისახება ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში. საანგარიშო წლის ბოლოს ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთა აღიარდება ხარჯად და აისახება ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ანგარიშის

⁵ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

დებეტსა და ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება წლის ბოლოს, სრული კალენდარული წლისათვის და გამოიანგარიშება შემდეგი წესით: მათი საწყისი (პირვანდელი) ღირებულება მრავლდება წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ წლიურ ნორმაზე.

ანალიზური აღრიცხვისთვის, ყოველწლიურად დარიცხული ცვეთის თანხის ჩაწერა წარმოებს ძირითადი აქტივების აღრიცხვის საინვენტარო ბარათებში (დავთრებში) ან ელექტრონულ სისტემებში.

არსებული მდგომარეობა: არაფინანსური აქტივების აღრიცხვის სისტემა მუნიციპალიტეტში არასათანადოა. მათ შორის, ნაწილობრივ აღრიცხულ ძირითად აქტივებს 2012-2013 წლებში ცვეთა არ დარიცხვია და აქედან გამომდინარე, ბუღალტრულად არ გატარებულა.

გავლენა

- მუნიციპალიტეტი ფინანსური საქმიანობისას არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში გაწეულ არაფულად (ცვეთის) ხარჯს.
- არასრულყოფილად აღრიცხულ არაფინანსურ აქტივებზეც კი ფიზიკური ცვეთის დაურიცხაობის გამო, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების რეალური (საბალანსო) ღირებულებისა და მისი ცვლილების შესახებ.
- ნარჩენი ღირებულების დაზუსტების გარეშე, ცდომილების მაღალი რისკის მატარებელია აქტივის დადგენილი წესით განკარგვის, მათ შორის, პრივატიზაციისა და ჩამოწერის შესაძლო პროცედურები.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁶, თვითმმართველი ერთეული პასუხისმგებელია არაფინანსური აქტივების პირველად აღრიცხვაზე, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრასა და ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობის დაცვაზე.

საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგი რეკომენდებული ვადები:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321, 2008 წლის 16 აპრილის №364, 2010 წლის 30 ივლისის №605 და 2004 წლის 28 ივნისის №511 ბრძანებები.

ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის საბუღალტრო და უფლებამოსილი სამსახური ვალდებულია დაასრულოს შემოსავალ-გასავლის ყველა დოკუმენტის დამუშავება, შესაბამისი ჩანაწერები შეიტანოს ანალიზური აღრიცხვის ბარათებში (წიგნებში), გამოიყვანოს ნაშთები ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის და მიაწოდოს საინვენტარიზაციო კომისიას.

არსებული მდგომარეობა: 2012 წლის 5 დეკემბერს საკრებულოს თავმჯდომარემ გამოსცა №623 ბრძანება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის შესახებ. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ფაქტობრივად ჩატარებულია მხოლოდ მცირეფასიანი ფასეულობების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის დაწყებამდე საბუღალტრო და უფლებამოსილ სამსახურს არ დაუმუშავებია შემოსავალ-გასავლის ყველა დოკუმენტი, შესაბამისი ჩანაწერები არ შესულა ანალიზური აღრიცხვის ბარათებში (წიგნებში), მონაცემები ნაშთების შესახებ ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის საინვენტარიზაციო კომისიას არ მიუღია. აღწერის შედეგები არ არის განხილული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების მიერ. შესაბამისად, სპეციალური ოქმი ინვენტარიზაციის შედეგებზე არ არის შედგენილი.

2013 წელს მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით მიღებულია საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 29 ნოემბრის №583 ბრძანება, თუმცა საინვენტარიზაციო კომისიას მასალები არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან, რომელიც ასევე არასრულყოფილია.

გავლენა

- მუნიციპალიტეტში სათანადო კონტროლი არ ხორციელდება ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე, რადგან დადგენილი პერიოდულობით არ ხდება აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება

ორგანიზაციის საადრიცხო მონაცემებთან, ასევე მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია და გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა.

- არ ხორციელდება ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების, ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება.
- ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული აქტივები არაა ჩაბარებული პასუხისმგებელ პირებზე.
- არ კონტროლდება ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობა.
- არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

აუდიტის დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგება, ხოლო 2012 წლის ფინანსური დოკუმენტაცია ამოღებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რის გამოც მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე არსებითი და ყოვლისმომცველია. აუდიტის ჯგუფმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ობიექტზე ვერ მოიპოვა და გამოთქვამს მოსაზრებას - „უარი დასკვნის გაცემაზე“.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:


ზურაბ ჩაფიჩაძე



ხელმოწერა 16.01.15 თარიღი

აუდიტორი:

ლია გუჯაბიძე



ხელმოწერა 16.01.15 თარიღი

აუდიტორი:

თეა უდესიანი



ხელმოწერა 16.01.15 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

თამარ კუხიანიძე



ხელმოწერა 16.01.15 თარიღი